GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

19 Şubat / თებერვალი 2024

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6 731.2	11%	17.3 %	0.0%

T.C. Tiflis Büyükelçisi Göreve Yeni Atanmış Savunma Bakanı ile Bir Araya Geldi

საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩი ახლადდანიშნულ თავდაცვის მინისტრს შეხვდა

Gürcistan Savunma Bakanı Irakli Chikovani, Gürcistan'ın Olağanüstü ve Tam Yetkili Türkiye Cumhuriyeti Büyükelçisi Ali Kaan Orbay ile tanıtım toplantısı gerçekleştirdi.

Türk diplomat Irakli Chikovani'yi Savunma Bakanı olarak atanmasından dolayı tebrik ederek başarılar diledi.

Görüşmede taraflar, Gürcistan'ın Türkiye Cumhuriyeti ile stratejik ortaklığı, savunma alanında ikili işbirliği ve bölgesel güvenlik konularını ele aldı.

Gürcistan Savunma Kuvvetleri'nin geliştirilmesi sürecinde askeri eğitim, ortak eğitimler, eksper ve maddi-teknik katkısı da dahil olmak üzere, Türkiye'nin sağladığı önemli destek vurgulanmış olup Temel NATO-Gürcistan Paketi'nin oluşturulmasında Türkiye'nin sağlamış olduğu katkılar önemle belirtilmiştir.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ჩიქოვანმა თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ალი ქაან ორბაისთან გაცნობითი შეხვედრა გამართა.

თურქმა დიპლომატმა ირაკლი ჩიქოვანს თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს თურქეთის რესპუბლიკასთან საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის, თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის და რეგიონული უსაფრთხოების საკითხები.

ყურადღება გამახვილდა საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების პროცესში თურქეთის მხრიდან გაწეულ მნიშვნელოვან მხარდაჭერაზე, მათ შორის, სამხედრო განათლების, ერთობლივი სწავლებების, ექსპერტული, მატერიალურ-ტექნიკური და სხვადასხვა მიმართულებით თურქეთის კონტრიბუციაზე და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) განხორციელების პროცესში აღმოჩენილ დახმარებაზე.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI იმბანი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

T.C. Büyükelçisi Gürcistan Başsavcısı ile Görüştü

თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოს გენერალურ პროკურორთან შეხვედრა გამართა

Gürcistan'ın Olağanüstü ve Tam Yetkili Türkiye Cumhuriyeti Büyükelçisi Ali Kaan Orbay, Gürcistan Başsavcısı Irakli Shotadze ile görüştü.

Toplantıda taraflar, iki ülkenin yetkili kurumları arasında ceza hukuku alanında mevcut işbirliği ele alıp gelecekte dayanışmanın daha da pekiştirilmesine hazır olduklarını ifade etmişlerdir.

თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ალი ქაან ორბაისთან შეხვედრა გამართა ასევე საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, ირაკლი შოთაძემ.

შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებს შორის სისხლის სამართლის სფეროში არსებული მჭიდრო და ეფექტიანი თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს და მომავალში ურთიერთთანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების თაობაზე მზაობა გამოთქვეს.

Gürcistan Dışişleri Bakanı'nın Türkiye Ziyareti

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი თურქეთში

Gürcistan Dışişleri Bakanı Ilia Darchiashvili, 15 Şubat 2024 tarihinde Türkiye Cumhuriyeti'ne resmi bir ziyarette bulundu.

Ziyaret kapsamında Ilia Darchiashvili, Türkiye Dışişleri Bakanı Hakan Fidan'la ikili görüşme gerçekleştirdi.

Gürcistan ve Türkiye Dışişleri Bakanları, ticaret; ekonomi; enerji; ulaştırma; stratejik bölgesel projeler; kültürel ve insanı alanlarda işbirliği konuları dahil, iki ülke arasındaki stratejik ortaklık gündeminde yer alan önemli konuları görüşmüşlerdir. Bakanlar ikili ticari ve ekonomik ilişkilerin dinamiklerini başarılı olarak değerlendirdiler.

Ilia Darchiashvili, ziyaret kapsamında Türkiye Büyük Millet Meclisi Başkanı Numan Kurtulmuş ile de görüştü.
Taraflarca iki ülke arasındaki ikili stratejik işbirliğinin güncel konuları ele alındı. Ayrıca, iki ülkenin yasama organları arasındaki

2024 წლის 15 თებერვალს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ილია დარჩიაშვილი ოფიციალური ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკას ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში, ილია დარჩიაშვილმა ორმხრივი შეხვედრა გამართა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჰაქან ფიდანთან.

საქართველოსა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის დღის წესრიგით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი საკითხები. მათ შორის თანამშრომლობის საკითხები ვაჭრობის, ეკონომიკის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სტრატეგიული რეგიონული პროექტების, კულტურულ და ჰუმანიტარულ სფეროებში. მინისტრებმა წარმატებულად შეაფასეს ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკა. ვიზიტის ფარგლებში, ილია დარჩიაშვილმა ორმხრივი შეხვედრა გამართა თურქეთის დიდი ეროვნული კრების სპიკერთან, ნუმან ქურთულმუშთანაც.

მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული ორმხრივი სტრატეგიული თანამშრომლობის აქტუალური საკითხები. ასევე, ხაზი გაუსვეს ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მნიშვნელობას.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Irakli Kobakhidze Suudi Arabistan Krallığı Yatırım Bakanı Khalid Al-Falih ile Görüştü

ირაკლი კობახიძე საუდის არაბეთის სამეფოს ინვესტიციების მინისტრს ხალიდ ალ ფალიჰს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze, Suudi Arabistan Krallığı Yatırım Bakanı Khalid Al-Falih ile bir görüşme gerçekleştirdi. Görüşmede, çeşitli yönlerde ikili işbirliği üzerinde duruldu.

Ticari ve ekonomik yönler de dahil olmak üzere ortaklığın daha da derinleştirilmesinin hangi açıdan mümkün olduğunu tartışıldı.

Tiflis'te düzenlenen Gürcistan-Suudi Arabistan İş Forumu'nun ikili işbirliğinin daha da pekiştirilmesine katkı sağlayacağını kaydedildi.

Görüşmede Gürcistan'daki elverişli yatırım ortamı ve potansiyeline de dikkat çekildi.

Irakli Kobakhidze, Gürcistan Hükümeti'nin Suudi Arabistan Krallığı'na yatırım çekme yönünde verimli işbirliği kurma konusunda destek vereceğini vurguladı.

Toplantıda Gürcistan'ın, Suudi Arabistan ve kendi arasında yatırımların teşviki ve korunması ile ilgili bir sözleşme üzerinde aktif olarak çalışmaya, ayrıca serbest ticaret ile ilişkin müzakerelerin yenilenmesine de hazır olduğunu ifade edildi.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საუდის არაბეთის სამეფოს ინვესტიციების მინისტრს ხალიდ ალ ფალიჰს შეხვდა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა მიმართულებით ორმხრივ თანამშრომლობაზე.

განიხილეს, თუ რა მხრივ არის შესაძლებელი პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავება, მათ შორის, სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით.

აღინიშნა, რომ ორმხრივი თანამშრომლობის უფრო მეტად განვითარებას ხელს შეუწყობს საქართველო-საუდის არაბეთის ბიზნესფორუმი, რომელიც თბილისში ჩატარდა.

საუბრისას ასევე ყურადღება დაეთმო საქართველოში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოსა და პოტენციალს.

ირაკლი კობახიძემ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს საუდის არაბეთის სამეფოს, რათა ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით ნაყოფიერი თანამშრომლობა შედგეს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველო გამოთქვამს მზადყოფნას, აქტიურად იმუშაოს საუდის არაბეთსა და საქართველოს შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ შეთანხმებაზე, ასევე თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების განახლებაზე.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ეროვნული ბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcistan- Suudi Arabistan İş Forumu

საქართველო- საუდის არაბეთის ბიზნესფორუმი

Tiflis'te Gürcistan- Suudi Arabistan İş Forumu gerçekleştirildi.

Forum, Gürcistan Başbakan Birinci Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Levan Davitashvili ile Suudi Arabistan heyeti başkanı, Yatırım Bakanı Khalid Al-Falih'in karşılama konuşmalarıyla açıldı.

Yaklaşık 300 katılımcının katıldığı foruma, Gürcistan ve Suudi Arabistan'ın hükümet ve iş çevrelerinden geniş katılım sağlandı.

Birinci Başbakan Yardımcısı'nın konuşmasında belirttiği gibi, Gürcistan'ın ekonomik büyümesi için doğrudan yabancı yatırımların önemi büyük ve hükümetin hedefi, ekonomik büyümeyi sürdürmek ve ekonominin yapısını iyileştirmek için farklı ülkelerden kaliteli doğrudan yabancı yatırımları çekmektir.

Bu doğrultuda Ekonomi Bakanlığı farklı ülkelerle çalışmalar sürdürüp ana ortaklarla yoğun diyalog içerisindedir. Gürcistan için önemli potansiyel ortaklardan biri de Körfez ülkeleri arasında en büyük ekonomiye sahip olan Suudi Arabistan'dır.

Başbakan Birinci Yardımcısı, Suudi Arabistan heyeti üyelerine Gürcistan'daki ekonomik trendleri tanıttı ve yatırım ortamının yanı sıra Anaklia derin su limanı ve Karadeniz su altı elektrik kablosu da dahil olmak üzere devam eden büyük altyapı projeleri hakkında bilgi verdi.

Forum çerçevesinde iki ülkenin iş sektörü (B2B) toplantıları, Levan Davitashvili'nin de belirttiği gibi, Gürcistan'daki yatırım fırsatları hakkında kapsamlı bilgi edinmek için mükemmel bir fırsat oldu.

Davitashvili'nin dediği gibi, geçen yılın ekim ayında iki Oda tarafından kurulmuş ve her iki ülkenin iş dünyaları için bağ kurma ve yeni projeler üzerinde çalışmak için ideal bir çerçeve oluşturan ortak iş konseyi, bu bakımdan bayağı önemlidir.

Forum sırasında Suudi Arabistan iş sektörü temsilcilerine, "Gürcistan'da Üret" Ajansı müdürü, Mikheil Khidureli tarafından Gürcistan'daki yatırım ortamı ve fırsatlarına ilişkin bir sunum yapıldı.

Bununla beraber, iki ülke temsilcileri tarım, enerji ve kültürel ilişkiler yönünde mutabakat zabıtları imzalamışlardır.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თიბისი ᲘᲨᲑᲐᲜᲚᲘ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

თბილისში საქართველო - საუდის არაბეთის ბიზნესფორუმი ჩატარდა.

ფორუმი საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილისა და საუდის არაბეთის დელეგაციის ხელმძღვანელის, ინვესტიციების მინისტრ ხალიდ ალ-ფალიჰის მისასალმებელი სიტყვებით გაიხსნა.

ღონისძიებას 300-მდე დელეგატი დაესწრო, მათ შორის საქართველოს და საუდის არაბეთის როგორც სამთავრობო, ისე ბიზნესწრეების ფართო წარმომადგენლობა.

როგორც პირველმა ვიცე-პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მთავრობის მიზანია, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან ხარისხიანი პირდაპირი ინვესტიციები მოვიზიდოთ როგორც ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების, ასევე ეკონომიკის სტრუქტურის გაუმჯობესებისთვის.

ამ მიმართულებით ეკონომიკის სამინისტრო ბევრს მუშაობს სხვადასხვა ქვეყანასთან, აქვს ინტენსიური დიალოგი ძირითად პარტნიორებთან და ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი, პოტენციური პარტნიორი საქართველოსთვის არის საუდის არაბეთი, რომელიც უმსხვილეს ეკონომიკას წარმოადგენს ყურის ქვეყნებს შორის.

პირველმა ვიცე-პრემიერმა საუდის არაბეთის დელეგაციის წევრებს გააცნო საქართველოში არსებული ეკონომიკური ტენდენციები და საინვესტიციო კლიმატის, ასევე მიმდინარე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, მათ შორის ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის და შავი ზღვის წყალქვეშა ელექტრო კაბელის შესახებ.

როგორც ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, ფორუმის ფარგლებში ჩატარებული, ორი ქვეყნის ბიზნესსექტორის (B2B) შეხვედრები შესანიშნავი შესაძლებლობა გახლდათ საქართველოში საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად.

მისი თქმით, ამ მხრივ, მნიშვნელოვანია გასული წლის ოქტომბერში ორი პალატის მიერ დაარსებული ერთობლივი ბიზნესსაბჭო, რომელმაც იდეალური ჩარჩო შექმნა ორივე ქვეყნის ბიზნესისთვის კავშირების დასამყარებლად და ახალ პროექტებზე სამუშაოდ.

ფორუმის მიმდინარეობისას საუდის არაბეთის ბიზნესსექტორის წარმომადგენლები გაეცნენ საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და შესაძლებლობების პრეზენტაციას, რომელიც მათ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დირექტორმა მიხეილ ხიდურელმა წარუდგინა.

ამასთან, ორი ქვეყნის წარმომადგენლებმა გაცვალეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკისა და კულტურული ურთიერთობების მიმართულებით.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თიბანი ISBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Dünya Hükümeti Zirvesi

მსოფლიო სამთავრობო სამიტი

Gürcistan Başbakan Birinci Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı, Dubai'deki SDGs in Action 2024 Dünya Hükümeti Zirvesi'nde konuşma yaptı.

Levan Davitashvili, Birleşik Arap Emirlikleri'ndeki zirvede bir araya gelen uluslararası liderlere Gürcistan hükümetinin sürdürülebilir kalkınma hedeflerine ulaşma sürecindeki vizyonunu aktardı ve küresel zorluklar karşısında uluslararası işbirliğinin öneminden bahsetti.

Bakanın belirttiği gibi, dünyanın mevcut durumu birbirine bağlı zorluklardan oluşan komplike bir ağ ile karakterize edilmektedir ve bu bağlamda sürdürülebilir kalkınma için çalışmak yalnızca ulusal bir görev değil, aynı zamanda ortak bir sorumluluk haline gelmektedir.

Birleşmiş Milletler Genel Kurulu'nun "Dünyamızı Dönüştürmek: Sürdürülebilir Kalkınma için 2030 Gündemi" kararı Ekim 2015'te yürürlüğe girdi. Kararda 17 Sürdürülebilir Kalkınma Hedefi (SDG) ile ekonomik, sosyal ve çevresel konular özetleniyor. Söz konusu karara ilk katılanlardan birinin Gürcistan olduğunu belirtmek gerekir.

Levan Davitashvili, konuşmasında Gürcistan'ın son yıllarda ekonomik fırsatlara kapsayıcı erişim, ekonominin yapısal olarak iyileştirilmesi ve sosyal güvenlik ağlarının güçlendirilmesi konularında önemli ilerleme kaydettiğini vurguladı.

Ayrıca, Bakan'a göre, Gürcistan'daki önemli ekonomik ilerlemeye ve yoksulluk oranının neredeyse yarı yarıya azalmasına rağmen, yoksulluk ve eşitsizlik hala ülkenin sosyo ekonomik kalkınması için önemli bir zorluk teşkil ediyor.

Başbakan Birinci Yardımcısı, Gürcistan'ın eşsiz coğrafi konumu ve çeşitli ekosistemleri nedeniyle iklim değişikliğinin etkilerine karşı özellikle hassas olduğunu da kaydetti. Bu nedenle diğer uluslarla işbirliği sadece bir seçenek değil, aynı zamanda bir zorunluluktur.

Levan Davitashvili'ye göre, beşeri sermayenin geliştirilmesi, eğitim ve öğretim kalitesinin artırması ve eğitim harcamalarının verimli olması, uzun vadede yüksek verimli ekonomik sektörlerde istihdamın, ekonomik büyümenin ve hanehalkı gelirinin artmasında; eşitsizlik ve yoksulluk oranlarının düşürmesinde önemli bir ekten olacaktır.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ეროვნული ᲘᲨᲑᲐᲜᲚᲘ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დუბაიში მიმდინარე SDGs in Action 2024 წლის მსოფლიო სამთავრობო სამიტზე სიტყვით გამოვიდა.

ლევან დავითაშვილმა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში სამიტზე შეკრებილ საერთაშორისო ლიდერებს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში საქართველოს მთავრობის ხედვა გააცნო და გლობალური გამოწვევების პირობებში საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, მსოფლიოს ამჟამინდელი მდგომარეობა გამოირჩევა ურთიერთდაკავშირებული გამოწვევების კომპლექსური ქსელით, ამ მოცემულობისას კი მდგრადი განვითარებისკენ სწრაფვა ხდება არამხოლოდ ეროვნული მოვალეობა, არამედ საერთო პასუხისმგებლობა.

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“ 2015 წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში. რეზოლუციაში გაწერილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDG) და ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები. აღსანიშნავია, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი შეუერთდა აღნიშნულ რეზოლუციას.

ლევან დავითაშვილმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბოლო წლებში საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ეკონომიკურ შესაძლებლობებზე ინკლუზიური ხელმისაწვდომობის, ეკონომიკის სტრუქტურული გაუმჯობესების, სოციალური უსაფრთხოების ქსელების გაძლიერების კუთხით.

ამასთან, მისი ინფორმაციით, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროგრესის და სიღარიბის მაჩვენებლის თითქმის განახევრების მიუხედავად, სიღარიბე და უთანასწორობა კვლავ წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან გამოწვევას.

პირველმა ვიცე-პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით და მრავალფეროვანი ეკოსისტემებით საქართველო განსაკუთრებით მგრძნობიარეა კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ. ამრიგად, სხვა ერებთან თანამშრომლობა არა მხოლოდ ვარიანტია, არამედ - აუცილებლობა.

ლევან დავითაშვილის შეფასებით, გრძელვადიან პერსპექტივაში ადამიანური კაპიტალის განვითარება, განათლებისა და ტრენინგის ხარისხის გაუმჯობესება და განათლების ხარჯვის ეფექტურობის გაზრდა იქნება მთავარი მიმართულებაა მაღალპროდუქტიულ ეკონომიკურ სექტორებში დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის, შინამეურნეობების შემოსავლების გაზრდისა და უთანასწორობისა და სიღარიბის შესამცირებლად.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI იმბანი IŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Almanya, Japonya'yı Geçerek Dünyanın En Büyük Üçüncü Ekonomisi Oldu

იაპონიის მოულოდნელი რეცესიის შემდეგ, მსოფლიოს სიდიდით მესამე ეკონომიკა გერმანია გახდა

Gürcistan'da Tescilli Şirketlerin %73'ten Daha Fazlası Gayrifaal Durumda

საქართველოში რეგისტრირებული ბიზნესებიდან 73%-ზე მეტი არ მუშაობს



Asya'dan Avrupa'ya Ürün Teslim Zamanı 10-15 Gün, Nakil Masrafı ise %400 Arttı

აზიიდან ევროპაში საქონლის მიწოდების დრო 10-15 დღით, ტრანსპორტირების ღირებულება კი 400%-ით გაიზარდა

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI საქართველოს IŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank



Tiflis'te 2023'te 39,949 Daire Satıldı

2023 წელს თბილისში 39,949 ბინა გაიყიდა

Batum'da 2023'te 15,758 Daire Satıldı

ბათუმში 2023 წელს 15,758 ბინა გაიყიდა

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ეროვნული ISBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურს

USD/GEL – 2.6432 TRY/GEL – 0.0852 EUR/GEL – 2.8467 GBP/GEL – 3.3273

BTC/USD – 52,232.50

USD/GEL

12 – 19 Şubat 2024



USD/TR

12 – 19 Şubat 2024

TRY/GEL

12 – 19 Şubat 2024

USD/BTC

12 – 19 Şubat 2024

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თბილისი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank